საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი
TRANING CENTER OF THE MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

სატენდერო დოკუმენტაცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრისათვის

“სკამები (CPVკოდი:39112000), “წიგნის კარადები” (CPVკოდი:39122200), “სავარძლები”(CPVკოდი:39113100), “მაგიდები”(CPVკოდი:39121200) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

შესყიდვა

თბილისი 2012 წელი

სარჩევი:

1. საკვალიფიკაციო მონაცემები..... 3
2. საქონლის რაოდენობა, მიწოდების ვადა, მიწოდების ადგილი.....4
3. ტექნიკური პირობები.....6
4. ფასების ცხრილი.....10
5. ხელშეკრულების პირობები.....12
6. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა.....18
7. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ 19

<u>გამარტივებული ელექტრონული ტენდერით “სკამები (CPVკოდი:39112000), “წიგნის კარადები” (CPVკოდი:39122200), “სავარძლები”(CPVკოდი:39113100), “მაგიდები”(CPVკოდი:39121200) შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შეყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად. (იხ. ვებგვერდი www.procurement.gov.ge)</u>

საკვალიფიკაციო მონაცემები

1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
   1. **ფიზიკურ პირთათვის:**

   ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

   1.1. **იურიდიული და ფიზიკური პირთათვის:**

   ა) პრეტენდენტის დასახელება, იურუდიულ მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

საქონლის რაოდენობა, მიწოდების ვადა, მიწოდების ადგილი.

*საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 20 მარტის ჩავლით;

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	სკამები საწერი დაფით	30	საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი შ.ჩიტაძის ქ.№4	ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 20 მარტის ჩავლით
2	სკამები საოფისე	8		
3	სავარძელი საოფისე	2		
4	წიგნის კარადა ღია თაროებით	2		
5	საოფისე მაგიდა	2		

ტექნიკური პირობები:

1. **სკამი:**

შეღებილი რკინის კარკასი;
მილის სისქე-არანაკლებ -1.2მმ;
შავი ფერის ქსოვილი-100% პოლიპროპილენის ;

1. სიმაღლე მთლიანი-0.78მ;
2. დასაჯდომის დაცილება იატაკიდან-0.44მ;
3. ზურგის სიმაღლე და სიგანე-0.31x 0.47მ;
4. დასაჯდომის სიგრძე და სიგანე-0.42x 0.47მ;
5. დიზაინი სურათი №1-ის შესაბამისად;

სურათი №1

2. **სკამი(სახელურით და საწერი დაფით):**

შეღებილი რკინის კარკასი;

მილის სისქე-არანაკლებ -1.2მმ;

შავი ფერის ქსოვილი-100% პოლიპროპილენის ;

1. სიმაღლე მთლიანი-0.78მ;
2. დასაჯდომის დაცილება იატაკიდან-0.44მ;
3. ზურგის სიმაღლე და სიგანე-0.31x 0.47მ;
4. დასაჯდომის სიგრძე და სიგანე-0.42x 0.47მ;
5. დიზაინი სურათი №2-ის შესაბამისად;

სურათი №2

3. **საოფისე სავარძელი: მაღალი ხარისხის, მეტალის კარკასი, ტყავის რბილი ზედაპირით, თავის მისადები გამოყვანილი ფორმის, მეტალის ქრომირებული ფეხით, სიმაღლის რეგულატორით, სავარძელს აქვს ე.წ. რწევის ფუნქცია, რომელიც ფიქსირდება საწყის პოზიციაში.**

1. სავარძლის სიგანე-64 სმ;
2. სავარძლის სიმაღლე-128სმ;
3. სავარძლის სიღრმე-86სმ;
4. ზურგის სიმაღლე-70სმ;
5. ზურგის სიგანე-52სმ;
6. დასაჯდომის სიგანე-54სმ;
7. დასაჯდომის სიღრმე-52სმ;
8. ფერი შავი

დიზაინი სურათი №3-ის შესაბამისი

სურათი №3

4. **საოფისე მაგიდა:**

ლამინირებული მერქანბურბუშელიანი ფილის (დსპ);
სისქე არანაკლებ 18 მმ;
დიზაინი სურათი №1-ზე მითითებული ნიმუშის მიხედვით;

1. სიგრძე-1.30მ;
2. სიგანე-0.80მ;
3. სიმაღლე-0.75მ;
4. პროცესორის დასადგამის ზომები:სიგრძე და სიგანე-0.50მ X 0.25მ;
5. სამი დახურული უჯრა გორგოლაჭებზე;
6. უჯრებზე ცენტრალური საკეტი;
7. უჯრების სიგანე და სიღრმე-0.40მ X 0.52მ;
8. უკანა მხრიდან დახურული;
9. ფერი: შეთანხმებით;

5. **წიგნის კარადა:**

ლამინირებული, მერქანბურბუშელიანი ფილის (დსპ);
სისქე არანაკლებ 18 მმ;
დიზაინი სურათი №3-ზე მითითებული ნიმუშის მიხედვით;

1. სიმაღლე-2.0მ;
2. სიგანე-0.80მ;
3. სიღრმე-0.38მ;
4. ნახევრად ღია კარადა;
5. პირველი განყოფილება დახურული, ორფრთიანი კარებით;
6. 4 შიდა თაროიანი ღია განყოფილება;
7. ფერი: შეთანხმებით;
8. დიზაინი სურათი №4

სურათი №4

<u>ზემოდ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესაბამისად პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემით უნდა წარმოადგინოს:</u>

1. ინფორმაცია მსგავს შესყიდვაში მონაწილეობის გამოცდილების და ანალოგიური საქონლის მიწოდების შესახებ;

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სკამები საწერი დაფით	30		
2	სკამები საოფისე	8		
3	სავარძელი საოფისე	2		
4	წიგნის კარადა ღია თაროებით	2		
5	საოფისე მაგიდა	2		

1. ფასების ცხრილი ივსება მიმწოდებლის მიერ. ღირებულება მითითებულ უნდა იქნეს ლარებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის და ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით.
2. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება დგინდება ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დამთავრების შედეგად დადგენილი საბოლოო ღირებულების შესაბამისად და ხელშეკრულების „დანართ №1“-ში, რომელიც ჩამოყალიბდება საბოლოო ღირებულების შესაბამისად, ერთეული და საერთო პირველადი ღირებულების ცვლილება (რომელიმე პოზიციაზე) დაუშვებელია ზრდის მიხედვით.

მიმწოდებლის ხელმოწერა და ბეჭედი

_____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ.თბილისი --- ------- 2011წელი

ერთის მხრივ საქართველოს საგარეო სქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი , წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გუგუნავას სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „------„ წარმოდგენილი დირექტორის -------- სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის საჭიროებისათვის „სკამების და წიგნების კარადები შუშის კარებით“ მიწოდება;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (----) ლარს;

2.2.საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, რომლის გადახდაც ეკისრება „მიმწოდებელს“;

3. **საქონლის ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები**

3.1.„შემსყიდველის“ საჭიროების შესაბამისად „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს დანართი №1-ში მითითებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წლის 20 მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი შ.ჩიტაძისქ.№4;

3.2.**„საგარანტიო პერიოდი“:**

3.2.1. „მიმწოდებელი“ საქონელზე უზრუნველყოფს ერთ წლიან საგარანტიო მომსახურებას;

3.2.2. დეფექტის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს დეფექტური საქონლის შეცვლას;

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1.„მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.„მიმწოდებელი“ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის თაობაზე „შემსყიდველთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;

4.3.„მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.„შემსყიდველი“ მიღებული საქონლის თაობაზე, ყოველ ეტაპზე „მიმწოდებელთან“ ადგენს მიღება -ჩაბარების აქტს;

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის“ მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა“ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

5.3.შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“;

5.4.ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთვევაში „შემსყიდველის“ მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

6. მხარეთა უფლებები

6.1.“მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადახდა;

6.2.„შემსყიდველს“ უფლება აქვს:

6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტის შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული

შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელსეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. **ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა**

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. **სადავო საკითხების გადაწყვეტა**

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

10.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. **ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ელშეკრულების პირობების შესრულების ვადის

გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის(შეთანხმების) გზით.

12. **მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა**

12.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით;

12.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ ან/და „მიმწოდებელს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

12.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. **ხელშეკრულების კონტროლი**

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

13.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

13.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით,გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

13.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

15.1. ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრეული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია -- გვერდზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ერთ პირი „მიმწოდებელთან“ ორი პირი „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს საგარეო საქმეთა	
სამინისტროს სასწავლო ცენტრი	

<u>სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია</u>

1. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის შერჩევა/შეფასებას, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემებით მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება და ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.
2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
4. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 30 კალენდალური დღე წინადადების მიღება დაწყებულია ეტაპიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.
5. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ლარებში (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების, ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით).
6. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნას ქართულ ენაზე. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, თან უნდა დაერთოს ქართულ ენაზე ნათარგმნი ვერსია დამოწმებული ნოტარიული წესით.
7. სატენდერო წინადადებების შერჩევა/შეფასებისათვის სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული წინადადებები არ განიხილება.
8. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, რომელიც აიტვირთება ერთიან ელექტრონულ სისტემაში დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით და ხელმოწერილი მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ.

სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში, მისამართზე: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა №4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი ტელ: 2 94 50 00 ext. 25-08; საკონტაქტო პირი: მაია ჩოხელი.